ჩენ, ერთ-ერთ კომპანიაში ვმუშაობ. დიდი მადლობა სკოლის დირექტორს, ქალბატონ ვენერას, პედაგოგს, ფიქრია მსხილაძეს, ნამდვილად მოლოდინს გადააჭარბა დღევანდელმა დღემ, შესანიშნავი გარემოა და ძალიან ბედნიერი ვარ, ასეთი ლამაზი და საინტერესო შეხვედრა რომ მო-

გიორგი ცხვიტარია: “საღამოებს ინტენსიურად ვმართავ როგორც თბილისში, ისე სხვა ქალაქებში, ძირითადად, მწერალთა სახლში ვიკრიბებით ხოლმე, რეგიონებში შეხვედრები მომიწევს მარტვილში, აჭარაში... პოეტური ორდენი “კოლხეთის სამი” 2013 წელს დავარსეთ, შემოვიკრიბეთ ახალგაზრდები მე და თემურ ჭახნაკამ.

— ამჟამად ლიტერატურული საქმიანობის გარდა რა საქმიანობას ეწევით?

— მწერლობით და პოეზიით დღევანდელ საქართველოში თავს ვერ ირ-

მიწევს.”
მესამე საჯარო სკოლის დირექტორი ვენერა ივანიშვილი: “გადაწყვიტა ქართულის პედაგოგმა, მუხობელი რაიონიდან მოეწვიათ თანამედროვე მწერალი, ბავშვები სულმოუთქმელად ელოდნენ, ეძიებდნენ მასალებს, ისწავლეს ამ პოეტის ლექსები, ჩანახატების ინსცენირებაც წარმოადგინეს, ვფიქრობ, ასეთი საღამოების მოწყობა უფრო გაულრმავეებს მათ პატრიოტულ გრძობებს, გიორგი პროზაიკოსია, პოეტია და როგორც დღეს ითქვა, მღერის კიდევ. ის საინტერესო ადამიანია.”



ბიბლიოთეკა და ბავშვები

საბიბლიოთეკო კვირეულთან დაკავშირებით ღანიის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე ლეილა ოდილაძემ და ლიტერატურული წრის ხელმძღვანელმა ნინო მებრიშვილმა ღონისძიების თემა "ტიციან ტაბიძე" აირჩიეს. ღონისძიებაში ჩაერთო ბიბლიოთეკის აქტიური მეთვლეკეები - ღანიის საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც ისაუბრეს ტიციანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ღონისძიებაში მონაწილე ბავშვებმა წაიკითხეს პოეტის ლექსები. შთაბეჭდილი იყო XI კლასის მოსწავლეების: ლევან ლომთათიძის, ზურა სანოძის, ჯემალ კინწურაშვილის, ალვინა გორგაძის მიერ წაკითხული ლექსები. მათ ტოლი არ დაუდეს V კლასის მოსწავლეებმა. ტიციანის ლექსების კითხვაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ საბავშვო ვაჟიშვილი, დიმა სახოკია, ანა ცინცაძე, ნინო ცაგურია, ლუკა ჯანელიძე, თამუნა მებრეღვიანი, ანა გალდავა და სხვები.

ღონისძიება შეაფასა საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილემ ნინო გალდავამ, რომელმაც აღნიშნა: "შემაყვება, რომ ჩვენს მოსწავლეებს უყვართ პოეზია და აქტიურად არიან ჩართული ყველა საბიბლიოთეკო ღონისძიებაში".

წიგნის კითხვის პრობლემატიკა მიეძღვნა II კლასის ღონისძიება თემაზე: "ბიბლიოთეკის ტყვეობაში". კლასის დამრიგებელმა მარია ბალაძემ სკოლის სააქტო დარბაზში მაყურებელს წარუდგინა სპექტაკლი, რომელშიც გაცოცხლებული იყო სათავგადასავლო მოთხრობების გმირების სახეები: პეპი, ბურატინო, ალაღინი, კარლსონი, ჩიპოლინო, სალამურა.

პატარების მიერ საუკეთესოდ შესრულებულმა კოსტიუმირებულმა როლებმა ბავშვებს სურვილი გაუჩინა, კიდევ ერთხელ წაიკითხონ ეს მოთხრობები.

ჩვენი ღონისძიების მიზანი, სწორედ ეს არის: გაუჩინოთ ბავშვებს წიგნის კითხვის სიყვარული და სურვილი.

ლესიანა კვარაცხელიძე
ღანიის კვარაცხელიძის
სახლის ბიბლიოთეკის



უნდა მოვუაროთ დიდი რუღუნებით

პირველი საჯარო სკოლის სტუმრები ვართ... გარემო ჭრელია, როგორც ამ ციციანა გოგო-ბიჭების სამყარო, სასოფლო დარბაზი ფერადოვნებით, მართლაც, დაიკვებინა, ეს პატარები კი, პირველი კლასი რომ დაასრულეს, ნიჭიერებით დაიკვებინან. კლასის დამრიგებელმა ხათუნა კოსტავამ და მისმა პატარებმა შთაბეჭდილი დღე აჩუქეს დარბაზში მყოფთ.

შემაჯამებელი ღონისძიება მიუძღვნეს "დედაენას", ქართულ ანბანს. პატარები უკვე საკმაოდ შორს იჭვრიტებიან. ქართული ენის შესახებ ბევრი გაუგიათ, იციან, რომ თოთხმეტი დამწერლობიდან ერთ-ერთი ქართულია, რომ "დედა ენას" ქართველმა კაცმა ძველი დაუდგა, რომ უპრეცედენტო თავდადება გამოიჩინეს ახალგაზრდებმა 1978 წლის 14 აპრილს და ენის სტატუსი შეინარჩუნეს კონსტიტუციით. ეროვნების ქომაგის, "დედაენის" ავტორის, იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიაც შესანიშნავად შეგვხვდა, ბრწყინვალედ წარმოსთქვეს ქართულ კლასიკოსთა ლექსები ენასა და სამშობლოზე. არც თანამედროვე ავტორების ლექსები დავიწყებიათ. მუსიკის პედაგოგის, რუსიკო ტყეშელაშვილის და ქორეოგრაფების, ჟორა და კესო პაქსაშვილების დახმარებით, პატარებმა ბრწყინვალე მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები წარმოადგინეს.

ხათუნა კოსტავა: "მადლობა ყველას, ვინც ამ დღის გაღამებაში თავისი წვლილი შეიტანა, ჩემო პატარებო, გილოცავთ სასწავლო წლის დასრულებას, მჯერა, განათლებულნი, ნიჭიერნი და ღირსეულნი იქნებით."

ხათუნა ფაილაძე, სკოლის დირექტორი: "მოგესალმებით პატარებო, ძალიან ლამაზები ხართ, შედგა თქვენი დებიუტი ხათუნა მასწავლებელთან ერთად ჩვენს სკოლაში. ერთად დაადექით პირველობისკენ საკმაოდ გზას ამ სკოლისას, ლამაზად ჩაეწერეთ დღევანდელი დღით ამ სკოლის ისტორიაში, მადლობა ხათუნა მასწავლებელი, არა მარტო ამ დღისათვის, არამედ წარმატებული საქმიანობისათვის, მადლობა იმისთვისაც, პატარებო, რომ ხათუნა მასწავლებელს თქვენი სიყვარულით გვერდით ედგა პედაგოგიური წინსვლის გზაზე. მადლობა დღევანდელი დღის გაღამებისათვის რუსიკო მასწავლებელს და ჟორა და კესო მასწავლებელს. მათ თავიანთი ლამაზი შტრიხები შესძინეს დღევანდელ ღონისძიებას. ამ თანადგომით ერთად გავაგრძელებთ პირველობისკენ სვლას."

სკოლის საჯარო სკოლაში



"ენა დედა ენისა"

სამტრედიის № 2 საჯარო სკოლაში (დირექტორი თეა კარტოზია) I კლასის მოსწავლეებმა ჩაატარეს ღონისძიება "დედაენის" დღისადმი დაკავშირებით, რომლის ორგანიზატორი კლასის ხელმძღვანელი ქალბატონი ნათელა ჯიმშელია ვილი გახლდათ. ნათელა მასწავლებელს უყვარს ბავშვების წარმოჩენა ღონისძიებებში. სწორედ მან თავისი დაუღალავი შრომით ბავშვებს პირველი ნაბიჯი გადაადგმევინა. აღსანიშნავია ისიც, რომ პატარები აქტიურად ჩაერთვნენ ღონისძიებაში. მათ თავის ხელმძღვანელთან ერთად თავი არ დაზოგეს და ღონისძიება ლამაზად, სასიამოვნოდ და სახალ-

სოდ ჩაატარეს. მასში მონაწილეობდნენ: ანდრია ადამია, მარიამ ადგიშვილი, ლილე ბებია, მარიამ ბეშიძე, ვაკო გვეჯიძე, ნიკოლოზ გვიგინიძე, ნოდარ გვიგინიძე, მარიამ გრიგოლია, დავით კაპანაძე, ბარბარე კაცაძე, ჯაბა ლორია, თეოდორე მჭედლოძე, ანი ორმოცაძე, გიორგი შაინიძე, ანასტასია შენგელია და ანამარია ჯოჯუა. ბავშვებმა მშვენივრად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას. მათ წაიკითხეს ლექსები და შეგვიხარულეს ამ ლექსებზე დაწერილი სიმღერები. ნათელა მასწავლებელმა დიდებულად წარმოაჩინა I კლასის მოსწავლეები. თითოეულ ბავშვს გააჩუქებინა



ამი. პედაგოგმა ეს სასწავლო წელი გონიერულად, ჯერ ღონისძიებით, ხოლო შემდეგ ექსკურსიით დააგვირგვინა. პირველკლასელებისთვის პირველი ექსკურსია იყო. ისინი დიდ ჯიხაშიში ნიკო

ნიკოლაძის სახლ-მუზეუმს ესტუმრნენ, რადგან ნათელა მასწავლებელი პირველ ექსკურსიას ყოველივეს დიდი ჯიხაშიშიდან იწყებს. ბავშვები მოიხიბლნენ ბუნებით. ექსკურსიამდოლი საინტერესოდ ესაუბრა მოსწავლეებს, ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და მეცნიერზე, ნიკო ნიკოლაძეზე, ბავშვებს გააცნეს მისსავე საცხოვრებელ სახლში განთავსებული მუზეუმი, რომელიც მდებარეობს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილი მცენარეებით გაშენებულ ბაღში. მუზეუმი დათვალიერეს და ძალიან მოეწონათ. აღტაცება ვერ დამალეს. ნათელა მასწავლებელი მათ ხშირად ესაუბრება "ვეფხისტყაოსანზე". ის მათ ყოველივეს ეუბნება რომ, საქართველოში ორ წიგნს უხდებიან იუბილეს - შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანს" და იაკობ გო-

გებაშვილის "დედაენას". "დედაენა კვლავ რომ იხტებს, მკერდზე ციციანთალებს, ამ განძს თუ არ მოუარე, ისე ვერ იქართველებ". ამიტომ ის ბავშვებს აჩვენებს და პირველი კლასიდან ასწავლის "ვეფხისტყაოსანს". მოსწავლეებს გაუჩნდათ სურვილი "ვეფხისტყაოსანიდან" წაეკითხათ სტროფები. ძალიან კმაყოფილები დარჩნენ ამ ერთი დღით. ნათელა მასწავლებელი ცდილობს, რომ ბავშვებს სამშობლოს შეაყვაროს, რადგან "სამშობლო ერთადერთია ქვეყანაზე".

მარიამ ჯიმშელია
სამტრედიის № 2 საჯარო სკოლის მ-9 კლასის მასწავლებელი



ერთი მოსაზრება

აკობ ხუცესის “შუშანიის წამების” დაწერის თაობაზე გამოჩენილ ქართულ და უცხოელ მკვლევართაგან საბოლოოდ მიღებული აზრით, “შუშანიის წამება” დაწერილია ვარსკენ პიტიახშის სიცოცხლეში, მის მოკვლამდე: 476-482 წლებს შორის.

არ არის ასე. პრობლემის გასარკვევად ამოსავალს თხზულების ტექსტი წარმოადგენს, როგორც ავტორს თავისი მიზანდასახულობა სწორედ ტექსტში შეაქვს საზოგადოდ.

ტექსტის მიხედვით, ვარსკენი მრისხანე პიროვნება, ლესპოტი და კარიერისტიკა. ვარსკენის მრისხანე ბუნებას იმთავითვე მკვეთრად წარმოაჩენს ეკლესიაში გადასული შუშანიკისა და მის სანახავად მისულ იაკობს შორის გამართული დიალოგი. ვგებულობთ, რომ დელოფალს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, არ დაჰყვას ქმრის ნებას. ამაზე ხუცესი დაუეჭვებლად მიუგებს, რომ პიტიახში არ დაინდობს. დიდ ტანჯვასა და წამებას მიაყენებს (“შწარე გონება აქუს მას; გუემასა და ტანჯვასა დიდსა შეგაგლოს შენ”). დასტურდება, რომ იაკობი საფუძვლიანად იცნობს ვარსკენის შინაგან მხარეს, მის პიროვნულ თვისებებს, მის წარსულს, რომ იგი, ვარსკენი, ასეთი მხოლოდ ახლა არ გამოხდარა.

ჯერ ერთი: ვარსკენის მგლურ ბუნებას ახლოს იცნობს “კაცი ერთი სპარსი”. ეს კაცი სპარსეთიდან დაბრუნებულ ერისთავს ფარულად პირველი აუწყებს. შუშანიის მიერ სასახლის დატოვებისა და ეკლესიაში გადასვლის შესახებ. ურჩევს, მუდღეს ამაზე მკაცრად ნურაფერს ეტყვის, სასტიკად ნუ მოექცევა (“ნურას ფიცხელსა სიტყუასა ეტყე”). ფაქტია, რომ თუ არა ვარსკენი ასეთი, ამ უცხოელს აღარ დასჭირდებოდა ამგვარი რჩევის მიცემა.

ჩვენ გვაფიქრებს მეორეც: სპარსმა ფარულად აუწყა ვარსკენს ეკლესიაში შუშანიის გადასვლის ამბავი. რატომ ფარულად? იმიტომ, რომ მასში, ვარსკენის პიროვნებაში, მართლაც იფარება სასტიკი და მკაცრი ბუნება, რომელიც ყოველთვის იქ გაჟონავს ხოლმე, სადაც ამა თუ იმ მოვლენის შხარი გაჩნდება ასეა ამ შემთხვევაშიც. სპარსს აფიქრებს, თუ არა ამგვარად, სხვაგვარად შესაძლოა, ვარსკენი გაცოფდეს. ჩანს, ისიც ღრმად ჩახედულია პიტიახშის სულიერ სამყაროში.

ვარსკენმა შინ მისვლის დღეს ხუცების ერთგვარი დედეგაცაა მიუგზავნა შუშანიის დავალებით – სასახლეში დაბრუნებულიყო. ხუცებმა ვარსკენს სიტყვა-სიტყვით მიუთხრეს დელოფლის დანაბარები, რაზეც იგი სასტიკად გაბრაზდა, მრისხანეება და ბრძღვინაჲდა (“განიწყო გული და იბრძღუნდა მისთვის”). მოსალოდნელი კი იყო, ვარსკენი მეუღლის განსაცდელს გულთან მიიტანდა, მაგრამ, პირიქით, იგი წონასწორობას ჰკარგავს, აუტანელი ხდება.

ეპისკოპოსი აფოცი, ჯოჯიყი და ცოლი მისი ახერხებენ დელოფლის დაბრუნებას სასახლეში. ვარსკენი მათი პირით უთვლის შუშანიის, თუ

არ დაბრუნდება, ძალით, ცემით მიიყვანს (“უკუეთუ არა, თრევით მოგიტორი”). ჩვენს მიერ ციტატაში ხაზგასმული სიტყვა აშკარად წარმოაჩენს ქართლის ერისთავის მეტისმეტად მკაცრ ბუნებას.

პიტიახშის მრისხანე ხასიათს აღასტურებს ჯოჯიყი. იგი თავის რძალს დაბეჯითებით ურჩევს, დაბრუნდეს სასახლეში, არადა ვარსკენი უთუოდ მოავლენს მსახურებს, რომელთაც წაათრევენ მას (“უწვი მე, აწ მოავლინეს მსახური და თრევით წევიყვანოს შენ”). ასე ფესვნაყარია სიერცეში ვარსკენის “შწარე გონებაი” – ბოროტი სული.

თავად იაკობი ორჯერ განახავს ვარსკენის მგლურ ბუნებას. ერთი, როცა პიტიახშს შუშანიის ოჯახში მობრუნებიდან მეორე დღეს ვახშობის ერთად გამართვა აქვს გადაწყვეტილი (“დღეს მე და ჯოჯიყი და ცოლმან მისმან ერთად პური ვჭამოთ”), ხოლო მეორეჯერ, როცა ვარსკენი უმოწყალოდ სცემს მეუღლეს და შეელად ამდგარი ჯოჯიყი გამხეცებულ ძმას ხელიდან ძლივს-ლივობით გამოაცლის თითქმის მკედარ დელოფალს (“ჭირით ვითარცა კრავი მგელსა გამოულო ხელთა”).

უფრო მეტიც: ავტორის დახასიათებით, ვარსკენი განრისხებულია, როგორც ცოფიანი მხეცი. იგი მჯიღით სცემდა და თმებით დაათრევდა შუშანიის (“ვითარცა მხეცი მივინგარეი ყოიდა და იხაზდა ვითარცა ცოფი”).

ამ ეპიზოდში ვარსკენს დაკარგული აქვს ჭეშმარიტი ადამიანის სახე. მან ვახშობაზე ნაცემი შუშანიკი ცალკე ოთახში შეაყვანინა და ერთი მცველი მიუჩინა. გამოჩინისას ამ კაცისაგან შეიტყო, რომ დელოფალი ძალიან ცუდად იყო (“ვერ განსარინებელ არს”). მაშინ თავად იხილა ცოლი და იქიდან გამოსულმა, კვლავაც უბრძანა კარის მცველს, არავინ შეეშვა მის სანახავად (“ნურც ვინ შევალს ხილვად მისა”). წარმოუდგენელიც კია ამაზე მეტი გულცივობა ადამიანისა.

ვარსკენის აუტანელი ხასიათია წარმოჩენილი მომდევნო ეპიზოდში. იაკობი სარგებლობს ვარსკენის სანადიროდ წასვლით და მცველს სთხოვს, შეუშვას შუშანიის სანახავად. ამაზე შემინებული მცველი მიუგებს, კარგადა ვარსკენმა შეიწყო, ხომ მომკლავსო (“ნუუკუე ცნას და მომკლას მე”). ასეთი შიშის ზარი უელის ტანში მსახურს, რომელიც პიტიახშს უთუოდ იმისთვის ჰყავდა შერჩეული, ღმობიერებითა და თანაგრძნობით მოჰკიდებოდა შუშანიის, როგორც აღმზრდელს.

აქვე იაკობი გვიყვება, რომ იგი იჩქაროდა შუშანიის ოთახიდან გამოსვლას (“და მე ვისწრაფდი გამოსვლად”). რატომ ხდება ასე? რით აიხსნება იაკობის ეს მოქმედება? ერთი რამით: მას შიში აქვს, არ შემოესწროს სანადიროდ მობრუნებული ვარსკენი, თორემ რისხვა უთუოდ არ ასცდება. ასე განიცდის კაცი, რომელიც პიტიახშის ოჯახის

ერთგვარი ელჩია.

დიდმარხვის პირველ დღეებში შუშანიი ეკლესიასთან ახლოს ერთ პატარა ოთახში დაივანებს. პონთა ბრძოლიდან სააღდგომოდ შინდაბრუნებული ვარსკენი თავად მიდის ეკლესიაში და ეპისკოპოს აფოცს უბრძანებს ცოლი დაუბრუნოს. თანაც სასტიკად ავინებს და გმობს ღმერთს. ამაზე ერთი ხუცესი შებედავს და კანკალით ეტყვის, რატომ კადრულობს და ავინებს ქრისტე ღმერთსა და ეპისკოპოსს (“უფალო, რაისა ეგრე იქმ და იტყე ეგრეთ ბოროტსა და ავინებ ეპისკოპოსსა და წმიდასა შუშანიის რისხვით ეტყე”). ამაზე პიტიახში მისებურად გაცოფდება, ხელს შემართავს და ხუცესს ისე მაგრამ “უხეთქნა” კვერთხი ზურგზე, ამ უკანასკნელს ენა არ ამოუღია (“ვერღარა იყარა სიტყუად”). უკანმოუხედავად გაიქცა.

ხდება უფრო მეტიც: გაცოფებული ვარსკენმა ეკლესიიდან სასახლეში სულ ტალახსა და ეკალბარდებზე ათრია შუშანიი და ისე “ვიითარცა მუდარი” მოათრია ტაძრამდე. ესეც არ აკმარა. ბრძანა, შეკრან და ცემონ იგი. მაშინ საბრალო დელოფლის ნახსენებს სამასი ჯოხი დაჰკრეს (“სცეს კუერთხითა სამას ოღენ”), ასე დაუნდობელია ვარსკენი თანამეზრდილი მეუღლის მიმართ.

პიტიახში აბუჩად იგდებს ქრისტიანობას. ეკალბარდებზე ნათრევ შუშანიის ნიშნის მოგებით ეტყვის, ხომ ხედავს, არაფრად გამოადგა მისი ეკლესია, არც თაყვანისმცემელი ქრისტიანები და მათი ღმერთი (“არა გერგო შენ ეკლესიაი შენი და არცა ზურგნი ევე შენი ქრისტიანენი და უფალი იგი მათი”). ამ ფაქტის შეფასება უკომენტაროდაც მისახვედრია.

ვარსკენი მეტისმეტად მრისხანე ბუნების კარიერისტიკა. ახლო მყოფთათვის მისი დანახვა კი შიშის მომგვრელია. იმ დროს, როდესაც შუშანიი სასახლიდან საპყრობილეთში გადასაყვანად გამოჰყავთ, მას მიუახლოვდება ერთი დიაკონი, რომელსაც სურს, უთხრას: “მტკიცედ დეგ”. მაგრამ მან, დიაკონმა, დაინახა, რომ მას თვალი მოჰკრა პიტიახშმა და ეს საკმარისი აღმოჩნდა, ენა პირში ჩავარდნოდა. დიაკონს სხვა არაფრის თქმა აღარ დასცალდა, მხოლოდ ეს მოასწრო: “მტკი...” და სწრაფად გაიქცა (“სივლტოლად იწყო სწრაფით”). პიტიახშის შიშის ზარი უკლის ტანში მთელ საზოგადოებასაც. ამ მხრივ, ნიშანდობლივია ერთი ეპიზოდი: ფეხშიშველ და თავდაუბურავ შუშანიის ხალხი ტირილით მიაცილებს საპყრობილეთში. საქმეა, რომ ურიცხვ გამცილებელთაგან ვერავინ გაბედა დელოფლისთვის თავზე დახურვა (“მოჰყვანდა წმინდაი შუშანიე უქხამური და თმაგარდატევებული ვითარცა ერთი შეურაცხთაგანი და ვერავინ იყარა თავს მისსა დაბურვად”). აგიოგრაფი ავტორი ჩვეულებრივი სინამდვილის სურათს ხატავს, არაფერს არ

ალამაზებს და ამ “სილამაზიდან” ვარსკენი გამოიყურება როგორც ასპიტი გველი.

მრისხანე ვარსკენმა ნაზი დელოფალი ციხის ჩრდილო მხარეს ერთ პატარა და ბნელ ოთახში შეაყვანებინა, დაუდგინა მცველები და გააფრთხილა, შიშშილით მოეკლათ იგი (“ამცნო მათ, რაითა სიყმილითა მოკლან იგი”). ხოლო ციხესთან მიყვანილს უტიფრად დაემუქრა, აქედან ცოცხალი ვეღარ გამოხვალ, მკვდარს გამოგიტანენო. (“შენდა ევლენ ყოფად... რამეთუ ცოცხალი არღარა გამოხვალად ხარ, გარნა თუ ოთხთა გამოგიღონ”).

არც ეს ფაქტი საჭიროებს განმარტებას, მხოლოდ ერთის მიმატებით კი – ვარსკენი ოდიოზური პიროვნებაა.

კაცთათვის შემზარავი საქციელი აქვს ვარსკენს. მან მხოლოდ მესამე კვირადღეს მოიფიქრა, როგორც იყო შუშანიი. მცველმა მოახსენა, რომ მოკვდავს უფრო ჰგავს, სასიცოცხლო პირი არ უჩანს, არაფერს ჭამს, შიშშილით უფრო კვდებაო. ვარსკენმა ამაზე მკვებედ მიუგო: ნუ გენაღვლება, ნურაფერს გადარდებს, მოკვდესო (“ნურარაი გვვლიან, უტე, მოკვდეს”). აქ ვარსკენის არაადამიანურობა ზღვარს გადადის.

აღსანიშნავია, რომ როგორც სასახლეში, ისე მის გარეთ, ყველას პიტიახშის დიდი შიში აქვს. ისეთი მაღალი თანამდებობის სასულიერო პირებიც, როგორიც არიან ეპისკოპოსები სამოელი და იოვანე, შუშანიის ნახვასაც კი ვერ ბედავენ. ისინი, გვეუბნება ავტორი: “ფარულად ილუწიდეს და ნუგეშინის სცემდეს”.

ვარსკენისთვის ხალხი ჯოგია. იგი ცხენზე ამხედრებული დასდევს და აქეთ-იქით ფანტავს მამაკაცებსა და ქალებს, რომლებიც საპყრობილეთში ტირილით მიაცილებენ შუშანიის (“მხედრ მიმოდასდევინ და მეოტყოფნ მათ ყოველთა”).

ერთი სიტყვით ვარსკენის შიშითა და რისხვით დატენილია მთელი გარემო. იაკობი მოგვითხრობს, რომ მატლებისაგან მთლად დაჭმული, გარდაცვალებული შუშანიი ყოველგვარი – საეკლესიო წესის დაცვის გარეშე დაკრძალეს. მაგრამ ამ დიდ სამგლოვიარო ცერემონიალს ეპისკოპოსები იოვანე და აფოცი უძღვევიან, ვარსკენი არ ესწრება. პიტიახშის ამ საქციელს გამართლება არ გამოენახება.

ზემოთ მოტანილ დაკვირვებათა შედეგად კეთდება დასკვნა: “შუშანიის წამება” შეუძლებელია დაწერილიყო ვარსკენის სიცოცხლეში და აი რატომ:

1. უპირველესად თვით იაკობმა კარგად იცის, რომ ვარსკენი “შწარე გონებაი” აქვს, რომ მისგან მოპირდაპირე მოსალოდნელია ყოველგვარი მკაცრი ქმედება. ვარსკენის სიცოცხლეში თხზულების დაწერის შემთხვევაში ვერც იაკობი გადაურჩებოდა პიტიახშის რისხვას.

2. იაკობმა ასევე ჩინებულად უწყის, რომ ვარსკენი არის ბუნებით “მგელი” და “ცოფიანი”. არანაირი გარანტი არ იარსებებდა იაკობის დასაცავად, თუ კი იგი გაბედავდა, ისეთ თხზულებას დაწერდა, სადაც ვარსკენი ერისა და ბერის გამყიდველად იქნებოდა ნაჩვენები.

3. ფრიალ ანგარიშგასაწევია ისიც, რომ იაკობს, როგორც სასახლეში მიღებულ პირველ პირს, უზომო რიდი და ხათრი აქვს ვარსკენისა. იმიტომ, ბუნებრივია, ვერც შეკადრებდა მას იმგვარი თხზულების დაწერას, როგორცაა “შუშანიის წამება”.

4. მკვლევართა ის აზრი, რომ იაკობის მეგლი დაწერილი უნდა იყოს ვარსკენის სიცოცხლეში და არა მოკვლის შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში ავტორი ამ ფაქტს თავის თხზულებაში უთუოდ შეიტანდა, მერსარ საბუთად არ გამოდგება. სხვას შეუძლია თქვას: არ აღნიშნავდა, რადგან ვარსკენის კი არა შუშანიის წამებას წერდაო.

5. მეორეც: ამ ფაქტს ავტორი ვერც აღნიშნავდა, რადგან ვარსკენი ისტორიული პირია და არა ლიტერატურული. მას ქვეყანაში ბევრი და გავლენიანი თაყვანისმცემელი ჰყავდა. ეს გარემოება ავტორის მიმართ ამ წრის განსაკუთრებულ გაღიზიანებას, ამხედრებას გამოიწვევს, რაც, წარმოუდგენელია, არ გაეაზრა ხუცესს.

6. შუშანიი და ვარსკენი თანამეზრდილები იყვნენ. მათ ერთ დროს სიყვარულით შექმნილი თბილი ოჯახი ჰქონდათ, მაგრამ ვარსკენი, გარკვეულ მიზეზთა გამო, საკუთარ ცოლსაც არ დაინდობს, უფრო მეტიც, მის დასაფლავებასაც არ ესწრებოდა. “წამება” მის სიცოცხლეში რომ დაწერილიყო, ვერაგი პიტიახში თხზულების ავტორს არ ეტყოდა: “აწ ნუცადა გვაგ” და არც ტექსტს დატოვებდა “ცოცხალს”.

7. ანგარიშგასაწევია მოსწავლე, სტუდენტი ახალგაზრდობისა და ფართო მეთხველი საზოგადოების თვალსაზრისიც: თხზულებას ტრადიციულად ყველა მათგანი ერთხმად თვლის ვარსკენის მოკვლის შემდგომ დროში დაწერილად.

8. აღსანიშნავია, რომ გაბატონებული აღიარება ვარსკენის სიცოცხლეში თხზულების შექმნისა, მხოლოდ ავტორიტეტთა გავლენით აიხსნება.

9. ამგვარად, იაკობ ხუცესის “შუშანიის წამება” დაწერილია სპარსელების სამსახურში ჩამდგარი ვარსკენ პიტიახშის მოკვლის შემდგომ ახლო პერიოდში.

ჩვენი მოსაზრება ბევრითაც არ ამცირებს იაკობის თხზულების ლიტერატურულ და ისტორიულ ღირებულებებს.

გალმობიანი თემაზე

ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია “ქალდეასა” და საერო-სამეცნიერო აკადემია “ფაზისის” ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

გიხაროდენ!

ერთია ღმერთი სიყვარულისა...

ლევან ბაბუნაძე

“...მივიდივარ მე ჩემს ღმერთს უნდა შევითხოვო, რომ მოგვცეს ძალა და უნარი, შენც შემიღებო შენს ღმერთს, კეთილი თვალით გადმოვხეხედის, სხვადასხვა ჩვენი ღმერთი, მაგრამ როცა ქვეყნის საქმეს ვაკეთებთ, ყველას ერთი ღმერთი გვცავს, ერთია ღმერთი სიყვარულისა... და იმან მოგვცეს ძალა ძლევისა და ნიჭი დაუმარცხებლობისა”.

დათიკო მეგრულიშვილის მონოლოგი იერუსალიმის ვერის მონასტერთან, გურამ ბათიაშვილის პიესიდან “ვალი”.

ამოდ როდი წავუძღვარეთ ინფორმაციული ხასიათის ამ წერილს გულში ჩამწვდომი სიტყვები ქართველებზე უზომოდ შეყვარებული ებრაელი მწერ-

ლისა. ამ დღეებში დიდი ზემოთ აღინიშნა ისრაელის სახელმწიფოს დაარსებიდან 71-ე წლისთავი (სახელმწიფო 1948 წელს შეიქმნა) საქართველოში ისრაელის საელჩოში გამართულ ოფიციალურ ღონისძიებაზე საქართველოს პრეზიდენტმა, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა, აღნიშნა: ისრაელის თავისუფლება, საქართველოს თავისუფლებაა, საქართველოს თავისუფლება კი ისრაელისო, მართლაცდა ასეა, ორი სახელმწიფო ერთმანეთის სანდო სტრატეგიული პარტნიორია. აქვე საქართველოსა და ქართველებზე თავდავიწყებით შეყვარებულმა ებრაელმა კაცმა, ბატონმა ჯამლეო ხუბაშვილმა საინტერესო და სასიხარულო ინფორმაცია გააჟღერა, კერძოდ: ძალიან მალე “იუნესკო” ქართველთა და ებრაელთა 26 საუკუნოვან მეგობრობას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს მიანიჭებსო. მსოფლიოში არ არსებობს მსგავსი



მაგალითი.

აღსანიშნავია, რომ ყოველივე მამინ შეძლო ამ ორმა ერმა, ვიდრე მსოფლიო ხმამაღლა აღაპარაკებოდა ტოლერანტობაზე, ასე რომ, ჩვენ კი არა, ევროპამ უნდა ისწავლოს ჩვენგან ბევრი რამ. მსოფლიოში უნდა განაზოგადოს ყოველივე, რათა პლანეტაზე არ იყოს ომე-

ბი, კონფლიქტები. არ იღვრებოდეს უღანაშაულო ადამიანთა სისხლი, ცრემლი და ზემოზღვს ძმობა, ერთობა, მეგობრობა.

ისევ ამონარიდი პიესიდან “ვალი”. “რამ მომიყვანა მე, ებრაელი, დათიკო მეგრულიშვილი, შენთან, ქრისტიანულ მონასტერთან? მე არც ჯვარი მწა-

მს თქვენი და არც რჯული, რჯულიც ჩემი მაქვს და მცნებაც... ნურც აწი მონიშნალოს ღმერთმა, მაგრამ, კიდევ ერთი რჯული ყოფილა ქვეყანაზე – სიყვარულის რჯული. სიყვარული შენმა ხალხმაც იცის და ჩემმაც”...

გიხაროდენ, ქართველებო! გიხაროდენ, ებრაელებო!

რკინიგზელები რკინიგზელთა ძალაქიდან

დღეს იმ ადამიანს გავიხსენებთ, ალალი, პატიოსანი შრომით საბჭოეთის მასშტაბით სახელი რომ გაუთქვა სამტრედიას, როგორც რკინიგზელთა ქალაქს.

1958 წლიდან გარდაცვალებამდე, ბატონი ანზორ ჩიტია სამტრედიის მკლავმოვლელი მუშათა კლასისა და ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი იყო. მრავალი წელი იმუშავა ელმაგლის მემანქანედ. მისი, როგორც ადამიანის, რკინიგზელისა და მემანქანის საყოველთაო აღიარება იყო ის ფაქტი, რომ იგი არჩეული გახლდათ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

შესანიშნავი ოჯახის თავკაცი ჯერ კიდევ მამის გარდაცვალება, როცა კვლავ ბევრის გაკეთება შეეძლო. ერთი ფაქტი გამახსენდა წერილის წერისას.

წლების წინ ჩვენს უფროს კოლეგას, ბატონ ოთარ ნაფეტვარიძეს სენაკში მძა გარდაეცვალა. ქვეყნად საშინელი ვითარება, უგზობა, სიდუხჭირე. წაუსვლელობა არ იქნებოდა, საგონებელში ჩავევარდით რედაქციის თანამშრომლები. გამოსავალი ჩვენმა კოლეგამ, მიხეილ ნიკოლეიშვილმა მოიძებნა. რედაქციის სურვილი – წავსულიყავით სენაკში, მას მისი კარის მეზობლის, ბატონ ანზორ ჩიტიასათვის უთქვამს.

მე ელმაგალი სენაკში უნდა ჩავიყვანო, იქიდან შემადგენლობა უნდა წამოვიყვანო, თუ გავფობთ წამოდით, წაგიყვანითო. – უთქვამს ბატონ ანზორს.

მეორე დღეს გვირგვინით ხელდამშვენებული რედაქციის თანამშრომლები ვეება რკინის რაშზე ავმხედრდით და სენაკში ჩავედით. ცას ეწია, თითქოს მწუხარება სიხარულად ექცა ბატონ ოთარსა და მისი ოჯახის წევრებს ჩვენს დანახვაზე, ჩვენთან ერთად იყვნენ ბატონი ოთარის გარდაცვლილი ძმის თანაკურსელები, ჩვენი რაიონის ღირსეული შვილები, ყოფილი 24-ე საშუალო სკოლის დირექტორი, გვიც სულაქელი და პედაგოგი ანა კლდურაძე.

ასე რომ, შეუძლებელი შეძლო ბატონმა ანზორმა კარის მეზობლისა და ჩვენი ხათრით. სამტრედიის ენციკლოპედიას უკვე მერამდენედ ვფურცლავდი ამ დღეებში. ჩიტია ანზორ (1939-2010 წ.წ.) ამოვიფიქრე შიგ.

80 წლისა გახდებოდა ბატონი ანზორ ჩიტია წელს. წერილიც ამის გამო დაიწერა. ნათელში იყოს მისი სპეტაკი სული.

ლევან ბაბუნაძე



ნეტავი ვინაა ავტორი ქანდაკებისა?

ჩემი ორივე ბებია ტრაგიკული დედები იყვნენ: ორივეს, ოთხი შვილიდან, ორი შვილი გარდაეცვალათ. მამის დედას – ორი ვაჟი: სრულიად ახალგაზრდა ბიძაჩემი – 37 წლის და მერე მამა – 55 წლისა. დედაჩემის დედას – კი ორი გოგონა დაეღუპა: 12 წლისა და 14 წლისამ მალევე თავი მოიკლა. დაკვირვებული თვალი უკვე შელახულ საფლავის ეპიტაფიებსაც კი ამოვიკითხავს. მერის ეპიტაფიაა: “ადრე დაგტოვეთ, მეც გული მწყდება. აღარ ვჭკვივობ და აღარ ვმღერი. არ დამივიწყეთ და მომიგონეთ თქვენი პატარა, ჭკვიკვია მერი”. ლილისთვის კი ეპიტაფია მენაბდეს ეკუთვნის. ბატონი ლევანი ძველი ქართული ენის მკვლევარი, მამის დედაჩემის, ნუნუ კლტავას, კურსელი ყოფილა და ამ ამბით შეძრულს, ასეთი სტრიქონები შეუთხზავს: ადრე ვთქვი ლექსში, თვითმკვლელობა ძნელზე ძნელია. ყველას სურს, მარად ერთად იყოს სული და ლეში. გიკვირთ და მართლაც ყველასთვის საკვირველია, ასე ჩემსავით და თან ჩაყვეს დას სამარეში... ადრე ვთქვი ლექსშიო! – რატომ წერს ბატონი ლევანი? იმიტომ, რომ ეს გოგონა, ლილი წერდა ლექსებს. ეს ლექსები ახლა ინახება ჩვენს ოჯახში, როგორც ძვირფასი განძი. ოდესმე, ალბათ, ამ ლექსებზეც ვიამბობთ, მაგრამ ახლა ისევ მთავარ სათქმელს მინდა მიუბრუნდე: ... ეს ამბავი ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდა. მამის ბებია გაუყვია სახლი სოფელში და ამ ფულით ძველები აუგია თავისი ორ პატარა გოგონასათვის, მერისა და ლილისთვის... ბებიაჩემი ამ ტრაგედიას, რაც პირველი შვილიშვილი – ჩემი დედაშვილი – თამრიკო გაჩნდა, ოჯახში, საერთოდ, აღარ ახსენებდა, ჩემი გაჩენის მერე კი... არასოდეს არაფერს ამბობდა. თუმცა რაც თავი მახსოვს, ამ ძველებს გამორჩეულად უვლიდნენ ჩემები! მახსოვს, დედაჩემი იხსენებდა, როგორ გაატარა მათთან ლამის მთელი ზაფხული ამ ძველებს ავტორმა, სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა სოფელში – დანიში. ამბობდა, თუ შესიერება არ მდლატობს, ამ ახალგაზრდა კაცს – გოგი ერქვა და დიდი ხანი მუშაობდა გოგონების ძველებზე... დაუდევრობას უნდა დავაბრალო, აბა რა, რომ არ ჩავიწერე, ვინ იყო ავტორი ამ ორი ძველისა, რომელიც 1944 წელს აიგო და დანიის წმინდა გიორგის ეკლესიაში დღემდე აინტერესებს მნახველს.

...დროთა განმავლობაში, ეს ძველები დაიშლება. ამ გოგონათა ტრაგედიაც წარსულს ჩაბარდება, მაგრამ... დღეს, როცა ისევ დგას ეგ ორი ქანდაკება, ძალიან მაინტერესებს მათი ავტორის ვინაობის გაგება, რადგან ამ ნამუშევარს მანც გამორჩეული (შეგირდისა) თუ (უკვე) ოსტატის (?) ხელი ეტყობა. ბუნდოვნად მახსოვს, როცა მისი ავტორი ახსენა დედაჩემმა, იქვე, იაკობ ნიკოლაძეც ახსენა, ეს ახალგაზრდა მოქანდაკე, იქნებ იაკობ ნიკოლაძის მოწაფე იყო? და რაკი აქაურ მეგობრებში ხელოვნებათმცოდნეობის მკვლევრებთან, იქნებ რომელიმე მათგანი დამეხმაროს კიდევ ავტორის ამოცნობაში... სამხუწაროდ, დაბეჯითებით ვერაფერს ვამტკიცებ... იქნებ ამ ფოტოების ნახვამ ვინმეს რაიმე მოაგონოს?

...ვინ იცის?

ნინო ჩხიკვიძელი
მხარალო, პრეზიდენტი



მისი ხალხის სიყვარულით

დახ, მისი ხალხის სიყვარულითაა ნათქვამი თითოეული სიტყვა, ღიმილით, სიცილით, ხარხარითაც კი. ჩვენს შორის იყო, თავაზიან სალამს შეგვაგებებდა ყოველი შეხვედრისას და მერე... მორიდებით ფურცელს შემოგვთავაზებდა. თუ საჭიროდ ჩათვლით დაბეჭდეთ, გეტყვოდა.

“სამტრედიის მაცნეც” სიამოვნებით ბეჭდავდა თემურ მეგრელიშვილის დაუნჯებულ იუმორს. გავიდა დრო და ოჯახმა ერთად შეკრიბა, აუბნა ყოველივე და სათაურიც შესანიშნავი მისცეს – “ჩემი ხალხის სიყვარულით”, ჩვენ პერიოდში გავაკეთეთ ამჯერად, რამეთუ სწორედ მისი ხალხის, მოყვასის სიყვარულითაა გამთბარი ბატონი თემურის ყოველი ნააზრევი.

ამჯერად კი რამდენიმე მათგანს შევთავაზებთ მკითხველს და ასე გავიხსენებთ ღირსეულ სამტრედიელს, დიდი ხანი რომ ჩვენს შორის აღარაა.

ლევან ბაბუნაძე



პოლიციელი ძეხვილის სურათს თვალსაჩინო ადგილზე ამაგრებს. სვანი ეკითხება: – რომ ნახოთ, მართლა დაიჭერით?
– აბა, რას ვიხამთ!
– სურათს რომ უღებდით, მაშინ ვერ დეიჭირეთ? – ეუბნება სვანი.

რაიონის თავკაცი ალიომა ჩიქოვანი დილით სამსახურში ფეხით მიდის, ქალაქში რუსულენოვან აფიშზე წაიფითხა “ცივანი”.
ცივანები აკლია სამტრედიას?
– ჩაილაპარაკა ბატონმა ალიოშამ.

ბატონი ალიომა ბერძენიშვილი მიყვება: მეუღლეს მხედველობა დააკლდა და, თვალის ექიმთან წაიყვანე. ექიმმა ეკითხება: რა ჭირს? თვალები დაეცო-თქო. – ვუთხარი მე. თვალები მას კი არა, შენ დაგვსებია, რამ მოგაყვანია ასეთი ქალიო. – მითხრა ექიმმა.

სვანი მეხუთედ რომ მივიდა კინოთეატრის მოლარესთან ბილეთის შესაძენად, მოლარე ეკითხება:
– ასე ცალ-ცალკე რატომ ყიდულობთ?
– რამდენჯერაც შევედი, იმდენჯერვე გამომართვეს ბილეთი და დამიხიეს. – პასუხობს სვანი.

ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი დაროსულდა, მუცელი რომ წამოეზარდა, გაოგნებული მამა ეკითხება:
– ვინაა მამ ბაღანეს მამა?
– იცი შენ? ისე ვიცი მეც. – პასუხობს შვილი.

გურულს შუა ღამისას კარზე უკაკუნებენ
– ვინ არის? – კითხულობს გურული.
– ფანალები ვართ. არის პასუხი.
– აშენდა თქვენი ოჯახი, გული გამისცა, სტუმრები მეგონეთო, პასუხობს გურული და მშვიდად ალებს კარს.
თამარ ბებრიაშვილი

კალათბურთი ახალი ჩემპიონი

საქართველოს ახალი ჩემპიონი კალათბურთში გახდა სამი წლის შემქმნილი გუნდი – თბილისის “დელტა”, რომელმაც 30 მაისს სუპერლიგის სუპერფინალის სერიების რიგით მეხუთე გადამწყვეტ შეხვედრაში, რომელიც ქალაქ ქუთაისში, ოლიმპიური ჩემპიონების ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის სპორტის სასახლეში გაიმართა, დაამარცხა მასპინძელთა გუნდი – ქუთაისის “ქუთაისი” ანგარიშით 82:78 და პირველად მოიპოვა ეს ტიტული.

თინათინ ბიბიაშვილი

ფოტო იტორიას ჰყვება

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტის, ბატონ რომან ბექაიას მიერ გადაღებული ეს ფოტო იმ მომენტს ასახავს, როცა სოფელ დიდ ჯიხაში ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში რაიონისა და სოფლის თავკაცები, დიდი მამულიშვილის შთამომავლებთან ერთად, აქტიულოვან საკითხებზე ბჭობდნენ.

სურათზე მარჯვნიდან: დიდი ჯიხაში სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გიგანტი ბიბილაშვილი, რაიონის თავკაცი – პარტიის სამტრედიის რაიონის პირველი მდივანი შალვა ცაგარეიშვილი, რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნოდარ ანდრიაძე და ნიკო ნიკოლაძის შვილიშვილები და მათი შვილები არიან გამოსახულნი.

სრულიად ახალი დაწესებული სახალხო დღესასწაული “ნიკობა” ამ დროს.

ლევან ბაბუნაძე



ზვიცან თაპი უენი!

(აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს)

დიდმა ილიამ თავის საპროგრამო ლექსს “ქართულის დედას” ეპიგრაფად წარუძღვარა გერმანელი ფილოსოფოსის, ლაიბნიცის დიდებული სიტყვები:

“აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა”.

გაკვანდირდები და ვიტყვი, ამით ლექსი კიდევ უფრო მეტად ტეველი გახდა. წავიფიქრე რა ქალბატონი ნათელა გელეიშვილის საე-ზნეთო პუბლიკაცია “ოჯახი.” სურვილი გამნიხნდა, წერილს გამოეხმა-ურებოდი. იმავდროულად ვფიქრობდი, რა მეთქვა ამ დიდებული, სე-ეთის მნათობი, სამტრედიის ქართულის დედის შემდეგ, ჩემი წერილის სათაური მას დავესესხე, ვფიქრობ, არ მიწყენს.

ვიდრე ძირითად სათქმელამდე მივალ, ერთი ეპიზოდი მინდა მოე-იყვანო, რადგანაც ეს ის ტიპილია, რასაც ვერ მოვერეი.

ამას წინათ, საკვირაო წირვის დროს, “წმინდა მეფე დავით აღმა-შენებლის საკათედრო ტაძრის” ეზოში ერთ-ერთ ჩოხოსანს მრევლის ერთი ნაწილი გარს ერტყა და “მოძღვრავდა”. თურმე სეთურის მაგა-ლითაა მისი ცნობიერების კრედი.

“საოცრებაა” ჭაბუა ამირეჯიბის ნაწარმოებიდან რომანის გმირის, დათა თუთაშხიას სახე ვერ დანიხიო – აღიქვა!

ერის მამა – დიდი ილია: კითხვას სვამს ძახილის ნიშნით “კაცია-ადამიანი?!” კვლავ სათქმელს მინდა მიეუბრუნდე და ხმამაღლა ვთქვა, ამ წერილის დაწერა განაპირობა ქალბატონი ნათელა გელეიშვილის სულიწკვეთებამ. მასზე უკეთესად მე ვერაფერს ვიტყვი. ამიტომ მოვი-შველიებ ქართველ მგონებს” ჭაბუა ამირეჯიბის რომანს ეპიგრაფად თან დავს!

...“იქმნა კაცთათვის:

“სინდისი – ნიჭად მხილებსათვის თვისთა მანჯიერებათა; ძალა – ილაკად თვისისავე სულის ხარვეზია დამღვეისათვის; სიკეთე – უნარ-ად რგებისათვის თავისა, გარნა მოყვასთათვის რგებისა შედეგად; დე-დაკაცი – არსად მრავლებისა და პირობად კაცთა მოღმის მარადისო-ბისა; მეგობარი – საზომად სულგრძელობისა და სამკლავებლად თა-ვკაცებისა და მსხვერპლად მისვლისა; ვენაცი და მინდორი – ადგილად დაღვრისათვის ოფლისა, არედ განგების ნების აღსრულებისა; პური და საქონელი ყოელი – საზრდელად თავისადა მისაძღვენელად სხვათ-ათვის; სოფელი – სივრცელ მიგებისათვის სიყვარულის, რომელი იყო ღმერთი.

თუნდაც, გავიხსენოთ მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება, რასაც გასდევს სამართლიანობისთვის ბრძოლის სულიწკვეთება:

“კვლავაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი;

ისე არ ამოწყდებიან, ჯავრი არ სჭამონ მტრისანი”.

უღრმესი მადლიერება მინდა გამოვხატო ქალბატონი ნათელა გე-ლეიშვილის მიმართ მოწოდების შესხენებისათვის.

ბიბი ბიბიაშვილი

P.S. “კაცად მაშინ ხარ საქები,

თუ ეს წესი წესად დარგე;

ყოველ დღესა შენს თავს კითხო, –

– აბა დღეს მე ვის რა ვარგე?”

თინათინ ბიბიაშვილი

მზია ჩიხაძის მოგონება



მზია ჩიხაძის გარდაცვალებიდან ერთი წელი გავიდა, რაც დიდი დანაკლისი აღმ-ოჩნდა საბიბლიოთეკო საზოგადოებისა და მეგობართა ფართო წრისთვის.

მზია ჩიხაძე ღვაწლმოსილი მუშაკი, თავისი საქმის დიდი მცოდნე, პროფესიონალი, უღალატო, თავდადებული, შრომისმოყვარე, გულიწმინდი, დახვეწილი გემოვნების პი-როვნება უბადლო ორგანიზატორი, შრომის ვეტერანი, აქტიური საქციალისტი, ყოველ-თვის იღვა საზოგადოებრივი მოვლენების ცენტრში.

1960 წლიდან დაიწყო მუშაობა სამტრედიის სარაიონო ბიბლიოთეკაში მეთოდისტ-ად, შემდეგ საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორის მოადგილედ. თავისი მუშაობის პერიოდში გავლილი აქვს ყველა საფეხური ბიბლიოთეკარიდან მეთოდულთა მომსახურ-ებამდე. კარგად ესმოდა წიგნის როლი ახალგაზრდობის აღზრდისა და მისი მოქალაქედ ჩამოყალიბების საქმეში. ხელს უწყობდა მეთოდულთა განათლების დონის ამაღლებას, რაც ბიბლიოთეკის უპირველეს ამოცანას შეადგენს. ბოლო წუთამდე ახალგაზრდა თაო-ბის წიგნიერად აღზრდის სადარაჯოზე იღვა.

მზია ჩიხაძე უშუალოდ მონაწილეობდა ბიბლიოთეკის მიერ მოწყობილ დონისძიებებში. მასზე ხშირად იწყებოდა სტატიები ჟურნალ საქართველოს ბიბლიოთეკარში.

აქვე უნდა შევეხოთ მის შემოქმედებით საქმიანობას. ათეული წელი ეწეოდა თეატრალურ მოღვაწეობას. გამოქვეყ-ნებული აქვს წიგნი “თეატრალური სამტრედია”. მისი თავდადებული საქმიანობა სათანოდ იყო დაფასებული. მიღებუ-ლი აქვს მრავალი ჯილდო და სიგელი. კულტურის სამინისტროს მიერ მიენიჭა საპატიო ბიბლიოთეკარის წოდება.

ერთი წელია წავიდა ჩვენგან კეთილშობილი ადამიანი, მვირფასი მეგობარი, კოლეგა. გულით დაიტრია მზია ჩიხაძე რაიონის საზოგადოებამ. ხშირად მივდივართ მის საფლავთან და პატივს მივავებთ მის ნათელ ხსოვნას.

ლევან ბაბუნაძე

მურმან კაშიას მოგონება!

ერთი წელი სრულდება 13 ივნისს სამტრედიელებისათვის, ყველასათვის კარგად ცნობილი საყვარელი პიროვნების მათემატიკოსისა და პედაგოგის უნიჭიერესი ადამიანის, მურმან ჯუმბე-რის ძე კაშიას გარდაცვალებიდან. რაოდენ სამწუხაროა ჩემთვის, რომ იგი ვერ გავაცილე ბოლო გზაზე ჩემი იმჟამად ავადმყოფობის გამო.

როცა ბატონ მურმანის პიროვნებაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის უდიდესი დამსახურება, რასაც იგი უნერგავდა მის ყოფილ მოსწავლეებს მათემატიკის საფუძვლიანი შესწავლის მიზნით. მან ფასდაუღებელი წვლილი შეიტანა მათემატიკოსების კვალიფიციური კადრების აღზრდის საქმეში.

როცა მის პიროვნებაზე ვსაუბრობთ უნდა აღვნიშნოთ მისი გარდაცვლილი მშობლების ქალბატონი მარგალიტა და ბატონი ჯუმბერის უდიდესი ძალისხმევით და გარჯის შესახებ, რაც მათ გასწიეს მურმანის პიროვნების ჩამოყალიბებაში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები!



კაშიაძის საზოგადოებრივი პრეზიდენტი

საზოგადოება “სამტრედიელი” მწუხარებას გამოთქვამს ბატონი **ბიბი თხალავაძის**

გარდაცვალების გამო.

ელექტროსამონტაჟო სამმართველოს ადმინისტრაცია და თანამშრომლები დიდი გულისტკივილით თანაუგრძობენ სამმართველოს მთავარ ბუღალტერს, ციციანო ლაღანიძეს და რამაზ ჩხაიძეს მამამთილისა და მამის, ბატონი **ბიბილ რაფიშვილის ძე ჩხაიძის**

გარდაცვალების გამო.

გილოცავთ!

ქალბატონ ანა კალაძის!



გაპარულა წლები, თუმცა, თქვენთვის ვერაფერი დაუკლია, პირიქით სიბრძნე, გამოცდილება უხვად მოუმაღლებია არსთა გამრიგეს.

გასული საუკუნის 90-იანი წლებია, ქვეყანაში გამეფებულ ქაოსს ეკონომიკური მოშლილობაც დაემატა. შიმშილობდა ერი, პატარები. დამეველა საგაზეთო მასალა მომემზადებია და თქვენდამი რწმუნებულ ბაგა-ბაღს ვეწვიე. გავვოცდი, როცა ფესვმ-აგარი ოჯახის წინამძღოლივით მიმეგზურეთ და დამათვალეებინეთ საწყობი, სადაც თქვენი ხელმძღვანელობითა და აღსაზრდელობითა მშობლების ძალისხმევით ათობით ქილა ხილფაფა, ჯემი, მურაბა... ვიხილე. დიახ, ეს თქვენ გააკეთეთ, რათა პატარები ყუათიანად გეკვებათ გრძელ და სუსხიან ზამთარში.

სოხუმი დაეცა, ერი გმირებს იგლოვდა. ცალი ფეხით დაბრუნდა შინ სამტრედიელი დავით ლევიძე აფხაზეთის ომიდან. "ბიჭებს გამხნეებდა სჭირდებოდათ" - ასე დაასათაურეთ შესანიშნავი ლინისძიება, რაიონული მასშტაბი რომ შეიძინა იმთავითვე. ოჯახთან ერთად სამტრედილაში ცხოვრობს დავითი და დღესაც იგონებს იმ არაჩვეულებრივ ყურადღებასა და თანადგომას. არ უნდა ვცდებოდე, გასული საუკუნის მიწურულს თქვენი ძალისხმევით ბაღში შესაბამისი საჭიროების აღსაზრდელებისათვის მეთოდისტის შტატი დაიშვა, ბაგა-ბაღი სპორტული პროფილის გახდა. ჩვენი რაიონისა და ერის სიამაყეს, ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონ მერი არაბიძესაც დიდი ამაგი დასდეთ. ამაყად შეგიძლიათ თვალი გაუსწოროთ წარსულს და ხმამაღლა თქვათ: წლებია ჩემი სიმდიდრე. იამაყონ მათ თქვენს მხარდამხარ რომ იმუშავენ. საუბრის ცალკე თემა ჩვენი ოჯახების მრავალწლიანი მეგობრობა. სახელოვან იუბილეს გილოცავთ, იდეგრძელეთ, ქალბატონო ანა!

ლევან ბაგრაძე



ზედმეტ წონას მოვუწყოთ კორსიეული ვენდეტა და დავიწყოთ სასწრაფოდ ჩვენ უჩავას დიეტა.



ფოტო განყოფილების

ანა რუხაძე

ვულოცავთ!

ჩვენს კოლეგას, ნინო ნანიტაშვილს და მის მეუღლეს, ბადრი ვაშაკიძეს, ვულოცავთ შვილიშვილის, ევას დაბადებას. ვულოცავთ ბედნიერ მშობლებს, ნუკისა და გიორგის. დაე, ბედნიერი, სასახელო, ქვეყნის საამაყო გავრდილიყოს პატარა ქალბატონი! ღმერთი ფარავდეს და აძლიერებდეს!

"სამხრეთის ანთა"



თუ ხართ ახდგაზხცა ქაღბაცონი, გატაცებელი ხართ ფოტოგრაფიით, ექებთ თქვენთვის სასუხვედ სამსახუხს, მიმართეთ საღონ "ღიადემას". აქ თქვენ მოახდენთ თქვენი შესაძიებლობების მაქსიმადეუხი ხუადიზებას.

გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ტელეფონზე: 555 10 09 03.

იუიღება

ქალაქის ცენტრში პრესტიჟულ ადგილზე ოთახნახ-ევრიანი 39 კვადრატული მეტრი ფართობის ბინა, მესამე სართულზე ლოჯიით, მაგთის ტელევიზიით და ინტერნეტით. ფასი 13 000 დოლარი.

მისამართი: თაგარ გევის ქ. №10, ოთახი 42. ტელეფონი: 593 44 34 43.

რედაქციის მისამართი:
სამხრეთი, რუსუბალიძის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

მაგნი

დირექტორი: ბაჟან გოგია
 მთავარი რედაქტორი: ქვიშკან ჭილიძე
 გამოშვები რედაქტორი: თეა ბაჟანაშვილი
 პასუხისმგებელი მდივანი: ლევან ბაგრაძე
 კომპიუტერული გრაფიკა: მამა პაპაშვილი